

27/08/2024



MES 3 24 0001018796

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 13. 08. 2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 23:00 სთ

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში-საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - სხდომის თავმჯდომარე

დავით ტეფნაძე - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

გიორგი ღალანაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;

აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თამარ ტუფინაშვილი - შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;

ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი,

ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

დიანა მჭედლიშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

ქეთევან ნანობაშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

სოფიკო ქურასხედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ქეთევან პავლიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

როსტომ ბერიძე - პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორი;

ლელა თურმანიძე - პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ნატო შეროზია - ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ ხელმძღვანელი;

ნანი მამულაძე - ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ ხელმძღვანელი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;

ანა ფირცხალაშვილი - აფილირებული პროფესორი;

ლევან კალანდარიშვილი - ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების მიმართულებით;

ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

თეონა მაისურაძე - ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

დავით კობრაძა - ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

მარიამ ჯოხაძე - ბიზნეს ანალიტიკის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ერეკლე ზარანდია - ფინანსური ტექნოლოგიების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

პაატა შურღია - ფინანსური ტექნოლოგიების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ვალერი მოსიაშვილი - საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

მაია გურგენიძე - შპს ბრიტანული უნივერსიტეტის საქართველოში რექტორი;

ლევან გურგენიძე - პოლიტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

ლევან ხუციშვილი - პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

სოფიო მშვიდლობაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვაჟა ლორთქიფანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

სალომე დუნდუა - ფაკულტეტის დეკანი;

თამარ დოღბაია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი;

მარეხ დევიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

შოთა ფოთოლაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ნინო ქიმერიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები

ეკა ლეკაშვილი - I და II საკითხები

ანუ ანნა ჯოსანი (Anu Anna Jossan) (თავმჯდომარე) – II საკითხი

სოფიო ხუნდაძე - II საკითხი

თეა კასრაძე - II საკითხი

სოფიო უგრეხელიძე - II საკითხი

სოსო გაზდელიანი - II საკითხი

ზაზა ცოტნიაშვილი - III საკითხი

ირაკლი ჩხაიძე - III საკითხი

ილია ბოცვაძე - III და IV საკითხები

ვაჟა კელიხაშვილი III და IV საკითხები

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა გოჩა თუთბერიძემ, ხოლო საბჭოს მდივნის ფუნქცია შეასრულა დავით ტეფნაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნეს ანალიტიკის", "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი, "ფინანსური ტექნოლოგიების", "ფინანსური ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი და "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში „პოლიტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების დემოგრაფიული პოლიტიკის და მიგრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტი ეკა ლეკაშვილი, რომელმაც შეისწავლა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში, ვერ ახერხებს საბჭოზე აქტიურ რეჟიმში ჩართვას 14:30 სთ - ის შემდგომ. შესაბამისად მან ითხოვა, დღის წესრიგით განსაზღვრული მე - 4 საკითხი - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში - საბჭოს განეხილა პირველ საკითხად.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნეს ანალიტიკის", "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი, "ფინანსური ტექნოლოგიების", "ფინანსური ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი და "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში „პოლიტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების დემოგრაფიული პოლიტიკის და მიგრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ტურიზმი
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
5. დეტალური სფეროსკოდი - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ კი

აცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ - საფუძველი, შრომითი ურთერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტი ეკა ლეკაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო ათი რეკომენდაცია.

ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტმა შეასრულა პირველი, მეორე, მესამე, მეექვსე, მეშვიდე, მეცხრე და მეთათე რეკომენდაცია. არ შესრულდა მეოთხე რეკომენდაცია და მეტწილად შესრულდა მეხუთე და მერვე რეკომენდაციები. ასევე პროგრამის მიმართ გაცემული იყო ექვსი რჩევა, რომლებიც დაწესებულებამ შეასრულა. ეკა ლეკაშვილმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების ინფორმაციით განხორციელდა „რისკების მენეჯმენტი ტურიზმში“, „პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში“ სასწავლო კურსების და საბაკალავრო ნაშრომის სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის სწავლის შედეგებთან და დარგობრივ მახასიათებლებთან, კერძოდ: სილაბუსებში განხორციელდა სწავლის შედეგების მოდიფიცირება, პრაქტიკული პროექტის, მისი შესრულების ეტაპების, შეფასებების და საათების გაწერა, თუმცა მისი მოსაზრებით საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც იყო 10 კრედიტიანი, არ შეიძლებოდა მის ადგილას შეთავაზებული ყოფილიყო ორ 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი - „რისკების მენეჯმენტი ტურიზმში“ და „პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში“, რადგან ისინი სავალდებულო არჩევით კომპონენტებად განიხილებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ კომპონენტებს აქვთ განსხვავებული მიზნები, შედეგები და შესრულებული სამუშაოსთვის განსხვავებული დრო არის გამოყოფილი, არ შეიძლება მათი გაიგივება და ერთმანეთის ალტერნატივად წარმოდგენა. „საბაკალავრო ნაშრომი“ ინდივიდუალურად სრულდება, თუმცა წარმოდგენილ სასწავლო კურსებში ჯგუფური პროექტი არის გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად არ ჩაითვალა. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსების გაცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნული კომპონენტი სასწავლო კურსების სილაბუსებში გადამუშავებულია და შეფასება გამჭვირვალეა, გარდა „საბაკალავრო ნაშრომის“, „პროფესიული პრაქტიკა 1“ და „პროფესიული პრაქტიკა 2“ შეფასების კომპონენტებისა. აღნიშნულ სილაბუსებში შეფასებები ქულობრივად გაწერილია, თუმცა შესაძლებელი იყო გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით უფრო სიღრმისეულად დეტალური აღწერა. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსების გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ საგანმანათლებლო კურსების ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში შესულია უახლესი წყაროები, თუმცა მაინც შესამჩნევია ხარვეზები. მაგალითად, ინგლისურენოვან სასწავლო კურსებში ძირითად ან დამატებით ლიტერატურაში მითითებულია ქართულენოვანი წიგნები. ასევე ამ სასწავლო კურსებს ქართული ენის ცოდნა არ აქვთ წინაპირობებში. გარდა ამისა, რიგ სასწავლო კურსებში მითითებულია სალექციო კურსები, მაგრამ არ არის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სახელწოდების, ავტორის, გვერდების რაოდენობის და თარიღის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ვლადიმერ ლლონტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტის მიერ შეფასება პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ მნიშვნელოვანი იყო ამ პროგრამის გაუმჯობესებისათვის. მისი თქმით „ტურიზმის“ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული ცვლილებები და ძალისხმევა რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით ძალიან ღირებულია. განხორციელდა სასწავლო კურსების, კერძოდ, "რისკების მენეჯმენტი ტურიზმში", "პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში" და "საბაკალავრო ნაშრომის" სწავლის შედეგების მოდიფიცირება რეკომენდაციის შესრულების მიზნით. სილაბუსებში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლებიც მოიცავს პროექტების, მათი შესრულების ეტაპების, შეფასებების და საათების დეტალურ გაწერას. უნივერსიტეტმა გადაიტანა აღნიშნული სასწავლო კურსები სავალდებულო არჩევით ბლოკში, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო გასწორებული ვარიანტის წარმოდგენა ვერ მოხერხდა.

საბაკალავრო ნაშრომი და მისი ალტერნატივა ორი სასწავლო კურსის სახით გადატანილი იქნა სავალდებულო არჩევით ბლოკში „საბაკალავრო ნაშრომის“ და ალტერნატიული კურსების მიზნების, შედეგების და შესრულების მეთოდებს შორის არსებული განსხვავებები პოზიტიურად უნდა იყოს განხილული. მისი თქმით „საბაკალავრო ნაშრომი“ ინდივიდუალური სამუშაოა, რომელიც მიზნად ისახავს კვლევის ან პრაქტიკული პროექტის შესრულებას, ხოლო ალტერნატიული კურსები გულისხმობს გარკვეული ჯგუფური მუშაობის განხორციელებას. ეს მიდგომა სტუდენტს საშუალებას აძლევს, რომ განავითაროს როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული უნარები. სასწავლო კურსის ფარგლებში კვლევის ან პრაქტიკული პროექტის განხორციელება შესაძლებელია. ჯგუფური მუშაობის კომპონენტი ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაცია, ლიდერობა, თანამშრომლობა და ა.შ. სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სავალდებულო არჩევითი სავალდებულო კურსების ფარგლებში მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე დაწეროს ან საბაკალავრო ნაშრომი, ან პრაქტიკული ხასიათის პროექტში მიიღოს მონაწილეობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ლიტერატურის განახლება მუდმივი და პერმანენტული პროცესია. შესაბამისად, ექსპერტის შეფასება ამ საკითხთან დაკავშირებით რელევანტურია. ისევე როგორც რელევანტურია ექსპერტის შეფასება გარკვეულ სასწავლო კურსებში კრიტერიუმებისა და რუბრიკების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, დაწესებულებას სთხოვა მეოთხე რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა საბჭოსთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები წარმოადგენენ სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც გადიან სწავლის შედეგებზე. დარგობრივ მახასიათებელში, ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსა და პროგრამის სწავლის შედეგებში ნათლად ჩანს ის, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების შედეგები მიმართული უნდა იყოს პრაქტიკული ხასიათის პროექტზე/ნაშრომზე. ე.წ. ალტერნატიული სასწავლო კურსები, რომლებიც არჩევით სასწავლო კურსებში იქნება მოცემული, გავლენ პრაქტიკული ხასიათის პროექტებზე, რომლებიც მოიცავს კვლევითი პროექტის ნაწილს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი იქნება სტუდენტების მიერ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტურია „საბაკალავრო ნაშრომის“ არჩევითად შეთავაზება სასწავლო კურსებთან მიმართებაში. ასევე თუ „საბაკალავრო ნაშრომის“ შექმნა ხდება ჯგუფურად, მაშინ რამდენად ეფექტურად მოხდება გუნდში წევრებს შორის საკუთარი წვლილის განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში „საბაკალავრო ნაშრომი“ არის ინდივიდუალური, რომელიც რეგლამენტირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო „საბაკალავრო ნაშრომის“ სხვა შინაარსობრივი და ტექნიკური საკითხები დაზუსტებულია „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსით. ამ კონკრეტულ საბაკალავრო პროგრამაში დაწესებულებამ წარმოადგინა ალტერნატივა, კერძოდ, სტუდენტის სურვილზეა აირჩევს თუ არა ის „საბაკალავრო ნაშრომს“. თუ ის ამ უკანასკნელს არ აირჩევს, მაშინ მას მოუწევს ორი სასწავლო კურსის გავლა, სადაც ინტეგრირებული იქნება პრაქტიკული პროექტი. აღნიშნული პრაქტიკული პროექტის განხორციელება, როგორც ერთ-ერთი შეფასების ნაწილი ამ სასწავლო კურსების ათვისებისა, არის ჯგუფური პროექტების მომზადება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:39

დასრულების დრო: 15:09

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 3 თვეში მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის 2¹¹ პუნქტის საფუძველზე საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 3 თვეში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

მონიტორინგის ფარგლებში უნდა გადამოწმდეს შემდეგი რეკომენდაციების შერულება:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს და განისაზღვროს სასწავლო კურსების "რისკების მენეჯმენტი ტურიზმში", "პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში", "საბაკალავრო ნაშრომი" სტატუსი პროგრამაში და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან, დარგობრივ მახასიათებელთან;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებში შეფასებები გამჭვირვალობის მიზნით;
3. საგანმანათლებლო კურსების ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში შევიდეს უახლესი წყაროები.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნეს ანალიტიკის", "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი, "ფინანსური ტექნოლოგიების", "ფინანსური ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი და "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

"ბიზნეს ანალიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასახელება: ბიზნეს ანალიტიკა;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება. 0413.2.11

ტექნოლოგიების მენეჯმენტი;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

სტატუსი: ახალი;

"ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასახელება: ბიზნეს ანალიტიკა;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება. 0413.2.11

ტექნოლოგიების მენეჯმენტი;

სწავლების ენა: ინგლისური;

კრედიტების რაოდენობა: 120;

სტატუსი: ახალი;

"ფინანსური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასახელება: ფინანსური ტექნოლოგიები;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა.
0412.1.1 ფინანსები;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

სტატუსი: ახალი;

"ფინანსური ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასახელება: ფინანსური ტექნოლოგიები;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა.
0412.1.1 ფინანსები;

სწავლების ენა: ინგლისური;

კრედიტების რაოდენობა: 120;

სტატუსი: ახალი;

"საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასახელება: საბანკო საქმე;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბანკო საქმის მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა.
0412.2.1 საბანკო საქმე;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

სტატუსი: ახალი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა პოზიცია.

სხდომის მიმდინარეობის თარგმნა უზრუნველყო ანა ლელაძემ.

საერთაშორისო ექსპერტი, ანუ ანა ჯოსანი (Anu Anna Jossan) მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამების მიმართ გაცემულია ორი კლასტერული რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასების ფორმალიზებას და რეგულარულ რეჟიმში ანგარიშების წარმოდგენას. მეორე რეკომენდაცია ეხება პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის დატვირთვის სქემაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის განსაზღვრული საათების განსაზღვრას, რაც ასევე მოემსახურება სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდას. მისი თქმით, დასკვნაში წარმოდგენილია ცხრა რეკომენდაცია, რომელიც ძირითადად ეხება სასწავლო გეგმაში „SPSS“ პროგრამის გათვალისწინებას, სტუდენტებისთვის ტრენინგის ჩატარებას ლიტერატურის შერჩევისა და მიმოხილვის შესახებ, სწავლის შედეგების ქულობრივ გადანაწილებას, ინგლისურენოვან პროგრამაში ჩართული პირებისთვის ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდას და ა.შ. დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი და სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომლებიც შესაბამისი იქნება დარგის სტანდარტებთან. მისი თქმით, „ბიზნეს ანალიტიკის“ პროგრამისთვის განსაზღვრულია ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება მონაცემთა ანალიზის კურსის განახლებას და პერსონალის პირადი დოკუმენტაციების სათანადო აღრიცხვას. „ფინანსური ტექნოლოგიების“ პროგრამის მიმართ გაცემულია ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება სასწავლო გეგმაში პროფესიული პრაქტიკის კურსის გათვალისწინებას მინიმუმ ხუთი კრედიტის მოცულობით. აღნიშნული პროგრამის მიმართ გაცემული რჩევა ეხება აკადემიური პერსონალის აყვანასა და აფილირებას ისეთი კურსებისთვის, როგორიცაა „ERP მოდელები“, „ბიზნეს პროცესის ანალიზი“, „ინფორმაციული უსაფრთხოება“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ „საბანკო საქმის“ პროგრამის მიმართ გაცემულია უფრო მეტი რეკომენდაცია, ვიდრე დანარჩენ პროგრამებთან დაკავშირებით. პირველი რეკომენდაცია ეხება დარგის პრაქტიკის და შემთხვევის შესწავლის ინტეგრირებას კურსებში „მენეჯერული ეკონომიკა“, „ფინანსური სერვისების მარკეტინგი“ და „საბანკო მენეჯმენტი“. მეორე რეკომენდაცია ეხება აკადემიური სამეცნიერო აპარატის გათვალისწინებას, კერძოდ, ნაშრომის შესავალ ნაწილში მიეთითოს კვლევითი კომპონენტი და ლიტერატურის მიმოხილვა, რათა სათაურთან მიმართებაში არ შეიქმნას განსხვავებული ინტერპრეტაცია და ხედვა. ასევე პრაქტიკის კომპონენტი უნდა იყოს უფრო ფორმალიზებული. უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით უნდა გააფართოოს შესაძლებლობა და უნდა გააფორმოს ხელშეკრულებები გარე ორგანიზაციებთან. „ფინანსური მენეჯმენტის“ და „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი კომპონენტები, როგორიცაა სიმულაციები და ფინანსური ინსტრუმენტები. ასევე დაწესებულებამ უნდა აიყვანოს დამატებითი პერსონალი და აფილირება გაუკეთოს მენეჯმენტის, სტატისტიკური ანალიზის და ERP კურსებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამები ახალია. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები ამჟამად არ არსებობს. მისი თქმით, უნივერსიტეტი ამას ახორციელებს სხვა პროგრამებთან მიმართებაში. ექსპერტებმა ნახეს პროგრამაში ჩაშენებული სწავლის შედეგების ავტომატური ანალიზი და შეფასება. შემდეგი სემესტრიდან აღნიშნული რეკომენდაცია შესაბამისობაში იქნება მოყვანილი სტანდარტთან. დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე კლასტერულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2020 წელს მიღებული აქვს „აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ“ წესი, რომელიც არის საჯარო.

ექსპერტებს რომ ენახათ აღნიშნული დოკუმენტი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ გაჩნდებოდა. მაშინ, როდესაც დაწესებულება ამ წესზე მუშაობდა, გადაწყდა აკადემიური პერსონალის ქულობრივი და არა საათობრივი შეფასება. გარდა ამისა, საქართველოში არსებული კანონმდებლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ავალდებულებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო დატვირთვის საათობრივად აღწეროს. ამ წესის მიხედვით კვლევისთვის განსაზღვრულია 10, 20 და 30 ქულა, რომელიც დეტალურად ჩაშლილია შეფასებაში და ემსახურება სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდას. „ბიზნეს ანალიტიკის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, „ბიზნეს ანალიტიკის“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა. მოხდა „მონაცემთა ანალიზის“ საგნის სილაბუსის მოდიფიკაცია და დაემატა ხელოვნური ინტელექტის სწავლების და გამოყენების მეთოდები. ასევე დაემატა „SPSS“-ის სწავლება. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მოწვევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოცხადებულია კონკურსი და უახლოეს მომავალში მოხდება შესაბამისი კადრების აყვანა. „ფინანსური ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, „ფინანსური ტექნოლოგიების“ ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი სასწავლო გეგმაში არჩევითი საგნის კრედიტის ხარჯზე დაემატა. შესაბამისად, პროფესიული პრაქტიკა სავალდებულო კომპონენტია. გრძელდება პრაქტიკული ობიექტების მოძიება. ტეზერთან თანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, ერთობლივად გაიხსნა ბლოკჩეინის ლაბორატორია და 30 კომპიუტერის შეძენა არის დაგეგმილი. ასევე მიმდინარეობს აქტივობების გეგმის შეთანხმების პროცესები. დაწესებულებამ კომპანია „Citypay IO“-თან ერთობლივად განახორციელა კურსი „ბლოკჩეინ ტექნოლოგიები თანამედროვე საწარმოში“. აღნიშნულ კომპანიასთან ერთობლივად მოხდა საჯარო ლექციების ჩატარება და უფრო მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის შეთავაზება სტუდენტისთვის. „Tensor Ventures“, რომელიც „ფინთექსის“ მიმართულებით ეხმარება სტარტაპებს სერია რაუნდისა და ინვესტიციებისთვის, არის დაწესებულების პარტნიორი მემორანდუმის ფარგლებში. ასევე სექტემბრის დასაწყისში სს „საქართველოს ბანკთან“ მოხდება მემორანდუმის გაფორმება. „საბანკო საქმის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, ვალერი მოსიაშვილმა, „საბანკო საქმის“ პროგრამის მიმართ გაცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია ქვიზი. ამ პროგრამის ძლიერი მხარე არის ის, რომ საბანკო მენეჯმენტის პრაქტიკულ კურსის თანაავტორი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ბანკის სხვადასხვა სერვისცენტრს. ამჟამად ის არის დეველოპერთა ურთიერთობის უფროსი მენეჯერი და რისკ ჩემპიონი. ყველა თემა, მიუხედავად იმისა თუ როგორ არ უნდა იყოს ის ფორმირებული, ცალსახად კავშირშია კონკრეტულ ბანკებში არსებულ პრაქტიკულ მაგალითებთან. დაწესებულებამ მოახდინა სილაბუსების მოდიფიცირება. შესაბამისად, ინდუსტრიის მიმდინარე პრაქტიკისა და შემთხვევის შესწავლა ინტეგრირებულია მენეჯერული ეკონომიკის, ფინანსური სერვისების მარკეტინგისა და ბანკის მენეჯმენტის კურსებში.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასწავლო დაწესებულებას აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების დებულება, სადაც მითითებულია, რომ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სათაურში ნათლად უნდა იკითხებოდეს ისეთი ზოგადი სამეცნიერო სათაური, როგორიცაა „სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა“. შესაბამისად, ყველა სამაგისტრო ნაშრომის სათაურში ნათლად ჩანს სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი აძლევს სტუდენტს ალტერნატივას, რომ თავიანთი პრაქტიკის კომპონენტი უნივერსიტეტში, საბანკო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში გაიარონ. მისი თქმით, დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გაფორმებული ჰქონდა 8 ორგანიზაციასთან მემორანდუმი. ვიზიტის შემდეგ უნივერსიტეტმა მემორანდუმი გააფორმა სს „საქართველოს ბანკთან“ და სს „ტერაბანკთან“.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მოწვევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოცხადებულია კონკურსი და უახლოეს მომავალში მოხდება შესაბამისი კადრების აყვანა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, არის თუ არა დაწესებულებაში დადგენილი აკადემიური პერსონალის მუშაობის მინიმალური სტანდარტი. მან ასევე აღნიშნა, რომ „ბიზნეს ანალიტიკის ტექნიკასა“ და „ბიზნეს ანალიტიკის“ სასწავლო კურსებში მითითებულია ერთი და იგივე ძირითადი ლიტერატურა. მისი თქმით, შესაძლებელია ერთი და იგივე ლიტერატურა ორივე კურსისთვის განსაზღვრული იყოს, როგორც სავალდებულო, თუმცა აუცილებელია გვერდების გამიჯვნა. გიორგი ღაღანიძემ დაწესებულებას მიმართა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინა. ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ნაშრომების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ წლის განმავლობაში არ იყო სამეცნიერო ნაშრომები შესრულებული პერსონალის მიერ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტს ზეპირი ინტერვიუ ჰქონდა აკადემიურ პერსონალთან. შესაბამისად, დატვირთვაში თუ არის მოთხოვნილი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, მაშინ ეს სახეზე უნდა არსებობდეს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით დაწესებულებაში დადგენილია აკადემიური პერსონალის მუშაობის მინიმალური სტანდარტი 421-ე ბრძანების სახით, რომელიც მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. 421-ე ბრძანების პირველი მუხლი ადგენს, რომ 100 ქულა არის დატვირთვა და ამ ქულებიდან 30 ქულა პროფესორისთვის, 20 ასოცირებული პროფესორისთვის, ხოლო 10 ქულა ასისტენტ პროფესორისთვის არის განსაზღვრული. ამავე ბრძანების მეოთხე მუხლი კი აღწერს თითოეული ქულის მინიჭების საკითხს. ყოველი წლის ბოლოს თითოეულ პროფესორს მოეთხოვება საკუთარი თვითშეფასების ანგარიშის გაკეთება და სამეცნიერო კვლევითი სამსახურისთვის გაგზავნა. ეს ყველაფერი ჯამდება და თუ ის გადააჭარბებს მოთხოვნილ ქულებს, მაშინ მიიღებს წახალისებას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან შეასრულა დატვირთვის სქემით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი. ყოველი წლის ბოლოს უნივერსიტეტი ატარებს გასაუბრებას პროფესორებთან იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რატომ ვერ შეასრულეს დატვირთვის სქემით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა, პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებასთან დაკავშირებით ერთნაირი მიდგომა იყო თუ განსხვავებული აფილირებულ და არააფილირებულ პროფესორებთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აფილირებულ პროფესორებს მოეთხოვებათ მეტი პასუხისმგებლობა კვლევითი მიმართულებით. აფილირებული პერსონალისთვის არსებობს მხარდაჭერის მექანიზმები. დაწესებულება მათ სამეცნიერო აქტივობებს უფინანსებს. „ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტს“ აქვს ყველაზე მეტი წინსვლა, განსაკუთრებით უცხოური პუბლიკაციების კუთხით. „ბიზნეს ანალიტიკის“ პროგრამის თანახმად ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ბიზნეს ანალიტიკის ტექნიკასა“ და „ბიზნეს ანალიტიკის“ სასწავლო კურსებში ერთი და იგივე ლიტერატურის მითითების მიზეზი იყო ის, რომ ეს ლიტერატურა მოიცავს კონცეფციების, მეთოდოლოგიებისა და ტექნიკის ფართო სპექტრს, რომელიც შეესაბამება დისციპლინის მრავალ სფეროს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია სილაბუსებში გვერდების მითითება რელევანტურად. თავად სწავლების მიმდინარეობის დროს ლექტორი მოახდენს სტუდენტისთვის გვერდების მითითებას.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით. მისი თქმით, ციტირებულ ნაშრომში ძალიან ხშირად მითითებულია სახელმძღვანელოები, ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურა. მას აინტერესებდა, ამის ფონზე რამდენად მარტივად ხდებოდა სამეცნიერო სიახლის დადასტურება. მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების დროს ერთ-ერთ კატეგორიულ მოთხოვნას წარმოადგენს ციტირებული ლიტერატურის მითითება. მას აინტერესებდა, როგორ ხდება

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების დროს ციტირებული ლიტერატურის მითითება და შემოწმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების წესი შედგენილია უნივერსიტეტის მიერ, რომელიც ეყრდნობა ჩიკაგოს სტილს, რომელიც ამ უკანსკნელი სტილისაგან განსვავებით უფრო გამარტივებულ სტილს წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შექმნილია გზამკვლევი, რომელსაც დაწესებულება აცნობს ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტს. სტუდენტის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი საკითხია იმის შეფასება თუ რამდენად გაითვალისწინა სტუდენტმა ნაშრომის შესრულების სტილი. როგორც მაგისტრანტის ხელმძღვანელს, ისე რეცენზენტს ეკისრება ნაშრომის სტილის შემოწმება. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი სტილი დაცული არ არის სტუდენტის მიერ, მაშინ ხელმძღვანელი მას აძლევს რეკომენდაციებსა და შენიშვნებს ხარვეზების გამოსასწორებლად.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ხდებოდა პლაგიატის შემოწმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებაში არის შესაბამისი სტანდარტი დადგენილი როგორც პლაგიატთან, ისე დამთხვევასთან დაკავშირებით. დამთხვევა არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს. ე.ი. 85%-ი უნდა იყოს ორიგინალი ტექსტი. ეს საკითხი დარგების მიხედვით ძალიან სპეციფიკურია. მაგალითად, სამართალში ხშირად გამოიყენება ციტირება (კანონების, სასამართლო გადაწყვეტილებების და ა.შ.) და ნაშრომის ხელმძღვანელის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. თუ დამთხვევა აღემატება 15%-ს, მაშინ სტუდენტს მიეცემა შენიშვნა მის გამოსასწორებლად. მეორედ თუ განმეორდება ეს ფაქტი, მაშინ პროგრამა ავტომატურად დაბლოკავს ნაშრომს. ასეთი ფაქტი უნივერსიტეტში არაერთხელ ყოფილა. მსგავსი მეთოდი მოქმედებს პლაგიატის შემთხვევაშიც.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი კლასტერული რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით არის მოცემული: „რეკომენდებულია დაწესებულებამ მოახდინოს სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ფორმალიზება და რეგულარულად შეიმუშაოს შეფასების ანგარიშები.“ დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში ეს პროცესები გაწერილია. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია. მან ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხზე, რომ „საბანკო საქმის“ პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტს წინაპირობად განსაზღვრული აქვს „ბანკების მენეჯმენტი“ და „საბანკო აუდიტი“. მას აინტერესებდა, მხოლოდ ორი საგანი ჰქონდა თუ არა განსაზღვრული აღნიშნულ პროგრამას წინაპირობად.

საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანნა ჯოსანმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის აქცენტი გაკეთდა მხოლოდ ამ პროცესის ფორმალიზებაზე და სისტემატურად ამ ანგარიშების წარმოდგენაზე.

ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ დააზუსტა, რომ დოკუმენტებში დეტალურად იყო აღწერილი არაპირდაპირი შეფასების გზები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები, სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი ანგარიშები. უნივერსიტეტის მიერ არ იყო წარმოდგენილი არაპირდაპირი შეფასების ანალიზი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შესახებ. ეს ეხებოდა არა ახალ, არამედ მოქმედ პროგრამებს. შესაბამისად, ამის საფუძველზე შემუშავდა ეს რეკომენდაცია.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გაუგებარია ასეთი განმარტება ექსპერტის მხრიდან იმიტომ, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტებს ყველა დოკუმენტი გაუზიარა, მათ შორის, მომიჯნავე პროგრამების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „საბანკო საქმის“ პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტს წინაპირობად განსაზღვრული აქვს „ბანკების მენეჯმენტი“ და „საბანკო აუდიტი“. „საბანკო აუდიტის“ წინაპირობა თავისთავად გულისხმობს „კომერციული საქმის ფინანსურ ანალიზს“. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მხოლოდ ამ ორი საგნის მითითება გადაწყდა წინაპირობად.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „Agile მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსის ცოდნის შეფასების ნაწილი არ შეიცავს ისეთი შეფასების მეთოდს, როგორიცაა პროექტი ან ჯგუფური სამუშაო. მას აინტერესებდა, რა შეფასების მეთოდით ხდებოდა აღნიშნული სილაბუსის მეხუთე შედეგის მიღწევა. მან აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს ანალიტიკისთვის“ ექვსი კვირა ეთმობა ძირითად საოფისე პროგრამების გაცნობას (Word, PowerPoint). ამის შემდეგ ისწავლება ოპერაციული სისტემები, ქსელები და ა.შ. მას აინტერესებდა, რა კავშირშია აღნიშნული საკითხები ბიზნეს ანალიტიკასთან. გარდა ამისა, რით განსხვავდება აღნიშნული სილაბუსი საბაკალავრო პროგრამის სილაბუსისაგან. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ „Agile მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსში პრაქტიკის ნაწილი მოიაზრება ლექტორის მიერ ე.წ. „Live Case“-ის განხილვა. შესაბამისად, „Agile მეთოდოლოგია და ტექნოლოგიების სწავლება დაფუძნებულია პრაქტიკული ქეისების შესწავლასა და განხილვაზე. მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნეს ანალიტიკოსები ნებისმიერ სფეროში მუშაობენ. ყველაფერი, რომელიც მე - 6 ლექციაში ისწავლება, აუცილებელი ხელსაწყოებია ბიზნეს ანალიტიკისთვის. ამის შემდეგ ისწავლება ოპერაციული სისტემები და ქსელები. შესაბამისად, ბაზარზე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე აუცილებელია აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლა. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, არცერთ პროგრამას მიღების წინაპირობაში არ აქვს დაკონკრეტებული დეტალური, ვიწრო და ფართო სფერო. არც ის არ არის დაკონკრეტებული საჭიროებს თუ არა კურსდამთავრებული ამ კუთხით გარკვეული წლების პროფესიულ გამოცდილებას. მას აინტერესებდა, როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის შედეგებზე გასვლას. გარდა ამისა, რამდენად რელევანტურია სამაგისტრო საფეხურზე 11 ქულის მითითება დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად, ხოლო დასკვნითი გამოცდის ზღვრის 30%-ის მითითება. მისი თქმით, ნებისმიერი საფეხურის პროგრამაში სწავლის შედეგები უნდა ვითარდებოდეს თანმიმდევრულად. კურიკულუმის რუკაში კი ეს არ ჩანს. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველი შედეგის მიღწევა ფასდება „მარკეტინგის ანალიზში“. დავალება, რომლითაც ფასდება ეს შედეგი არის „პროექტის პრეზენტაცია“, რომელიც 40 ქულით ფასდება. სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია, რომ 40 ქულიდან სტუდენტმა 50% უნდა მიიღოს, ხოლო 24 ქულიდან მხოლოდ 18 ქულა. მას აინტერესებდა, სამაგისტრო საფეხურის გათვალისწინებით რამდენად რელევანტურია ეს სამიზნე ნიშნულები. „ფინანსური ტექნოლოგიების“ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვალიფიკაცია მოცემული პროგრამის არის „ფინანსების მაგისტრი“, თუმცა პროგრამის შინაარსი და კვალიფიკაცია არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არსებობს როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდა, ისე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სტუდენტის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ სპეციალობის გამოცდა არის განმსაზღვრელი იმისა შეძლებს თუ არა სტუდენტი ამ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას და იმ სწავლის შედეგებზე გასვლას, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. სპეციალობის გამოცდის საკითხები მაგისტრანტობის კანდიდატისთვის წინასწარ ცნობილია და მას აქვს გამოცდისათვის მომზადების შესაძლებლობა. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურზე 11 ქულა არის მითითებული დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად, ხოლო დასკვნითი გამოცდის ზღვარი 30%-ია. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამები ახალია, დაწესებულება დააკვირდება აღნიშნული შეფასების სისტემის ეფექტურობას და თუ არ გაამართლებს, მაშინ შეცვლის. კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნებისმიერი საფეხურის პროგრამაში სწავლის შედეგების

თანმიმდევრულად განვითარება მნიშვნელოვანია. პროგრამაში მონაწილე თითოეული კურსის ავტორის მიერ პროგრამის შედეგებთან თავსებადობის პრინციპით ვითარდება სწავლის შედეგები. თითოეული კურსის ავტორი განსაზღვრავს თუ რა შედეგში და რა დონით მონაწილეობს მისი კურსი. შესაბამისად, ამის შემდეგ იგება ის რუკა, რომლის შედგენაშიც დიდი როლი აქვს როგორც კურსის ავტორს, ისე ხელმძღვანელს. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტს ბევრი აქვს ნამუშევარი. სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია შედეგებიდან გამომდინარე მათ გასაზომად. სამიზნე ნიშნულები საჭიროა იმისათვის, რომ კურსის ავტორმა განსაზღვროს თუ რამდენად წარმატებულად განხორციელდება კურსი. სასწავლო კურსები დაყოფილია გრადაციის მიხედვით მათი თანამონაწილეობის პროპორციულად. ამრიგად, სამიზნე ნიშნულები არის შერჩეული კომპონენტების საზომი იმისათვის, რომ კურსის ავტორს გააუმჯობესებინოს სწავლის შედეგები. მათი დაყოფა დონეების მიხედვით არ იქნება რელევანტური იმიტომ, რომ თითოეული კურსი თავისი შინაარსიდან გამომდინარე სპეციფიკურია.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო გეგმაში მოცემული იყო 9 კრედიტიანი „ბიზნესის კვლევის მეთოდებისა“ და „ბიზნეს ანალიტიკის ტექნიკების“ სასწავლო კურსები. მას აინტერესებდა, რა კრიტერიუმებით განისაზღვრა ამ ორი საგნის კრედიტების მოცულობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ბიზნესის კვლევის მეთოდების“ სილაბუსი აკადემიური წერის როგორც მიზნებსა და შედეგებს, ისე იმ თემატიკას მოიცავს, რომელიც აკადემიური წერას გააჩნია. მოკვლევის საფუძველზე გადაწყდა ამ ორი საგნის ინტეგრირება. მოკვლევა გაკეთდა როგორც კურსის თვითშეფასების განმახორციელებელი ლექტორების, ისე ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვების შედეგად. სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც ამ საკითხის მოკვლევა განახორციელა, რეკომენდაცია გასცა იმის შესახებ, რომ ამ ორი სასწავლო კურსის ინტეგრირება მომხდარიყო. ამ ორი კურსის ერთად გავლა სტუდენტს მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა უკეთესად აეთვისებინა.

გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა „ბიზნეს ანალიტიკის“ პროგრამის ხელმძღვანელებს. მას აინტერესებდა, რატომ გამოიყენა უნივერსიტეტმა კლასიფიკატორში 0413.2.11 სწავლის სფერო, რომელიც „ტექნოლოგიების მენეჯმენტს“ წარმოადგენდა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბიზნეს ანალიტიკა არ არსებობს კლასიფიკატორში და ყველაზე ახლო მდგომად ჩაითვა „ტექნოლოგიების მენეჯმენტი“.

სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად იყო უზრუნველყოფილი აკადემიური თავისუფლება სილაბუსში შეფასების სისტემის განსაზღვრისას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში შესაძლებელია შეფასების სისტემა უფრო უკეთესი ყოფილიყო, თუმცა მომავალში უნივერსიტეტი არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული შეფასების სისტემა შეიცვალოს.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაიზიარა. როგორც თვითშეფასების ჯგუფში, ისე სხვა აქტივობებში სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ საკითხთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას იზიარებს. ამჟამად გამოცხადებულია აკადემიური კონკურსი. „პოლიტიკის მენეჯმენტის“ მიმართულებით ბევრი პრაქტიკოსი ადამიანია, რომლებსაც აკადემიური ხარისხი არ აქვს, თუმცა ამ მიმართულებით დაწესებულება ძალისხმევას არ იშურებს. სანამ პროგრამა ჩაეშვება სწავლებაში, მანამდე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მეტი აკადემიურ პერსონალის დასაქმებას დაწესებულებაში. უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, რომ შეცვალოს ბალანსი მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის, კერძოდ, მოწვეული პერსონალი გახდეს დაწესებულების აკადემიური პერსონალი, ხოლო აკადემიური პერსონალი - აფილირებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დავით გეგეჭკორმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში პროგრამის მიმართ გაცემული პირველი რჩევა შემდეგი შინაარსით არის მოცემული: „სასურველია ახალი კურსის/ კურსების გათვალისწინება ქართული კონტექსტის ცოდნის გაძლიერებისა და გაღრმავების, ასევე სტუდენტების მიერ ქართული პოლიტიკის ისტორიული/ კულტურული კონტექსტისა და თავისებურებების უკეთ გაგების მიზნით“. მეორე რჩევა დასკვნაში შემდეგი ფორმულირებით არის მოცემული: „სწავლის შედეგების თვალსაზრისით, სასურველია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, პროგრამების გარკვეული შედეგი(ებ)ის მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) სათანადო დონის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ზოგიერთი კურსი მხოლოდ ერთ სასწავლო შედეგს მიემართება“. ის დაინტერესებდა, აღნიშნული რჩევები ატარებდა თუ არა რეკომენდაციის ხასიათს. ექსპერტმა პირველ რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დისკუსიის პროცესში, რომელიც ექსპერტებსა და დაწესებულებას შორის იყო, გამოიკვეთა, რომ გუნდი მუშაობდა ამ მიმართულებით. შესაბამისად, აღნიშნული რჩევა გაიცა არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახით. ექსპერტმა მეორე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ე.წ. კურიკულუმის რუკა, რომელიც აკავშირებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს პროგრამის სწავლის შედეგებთან, დაყოფილია სამ ნაწილად, თუმცა რუკაზე ბევრი კურსი უფრო მეტ შედეგზე გადის ვიდრე მონიშნული იყო. შესაბამისად, გაიცა რჩევა და არა რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა გახდა საფუძველი იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამას ჰქვია „პოლიტიკის მენეჯმენტი“. ასევე, მისი თქმით, სასწავლო კურსი „სტატისტიკა, მონაცემები და ანალიტიკა პოლიტიკის მეცნიერებებში“ არის წინაპირობის გარეშე. მან კითხვა დასვა - აღნიშნული კურსი წინაპირობის გარეშე ხომ არ იქნებოდა ჰუმანიტარული განათლების მქონე სტუდენტისთვის რთულად დასაძლევად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ მან ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში დაამთავრა „პოლიტიკის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა. შესაბამისად, ეს უნივერსიტეტი გახდა პროგრამის სათაურის ინსპირაციის წყარო. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში „პოლიტიკის მენეჯმენტი“ იქნება ახალი სიტყვა. რეალურად პროგრამა პოლიტიკის მეცნიერების პროგრამაა, თუმცა კონცენტრაციებში ჩაშლილია ისეთი კომპონენტები, რომლებიც პოლიტიკის მენეჯმენტში გადის. სასწავლო კურსი „სტატისტიკა, მონაცემები და ანალიტიკა პოლიტიკის მეცნიერებებში“ არის ისეთი საგანი, რომელიც არ საჭიროებს საბაზისო ცოდნას, თუმცა ეს სასწავლო კურსი არის წინაპირობა ისეთი სასწავლო კურსისთვის, როგორიცაა „მონაცემები სტრატეგიული კომუნიკაციისთვის“.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო კურსში „ადგილობრივ პოლიტიკასა და მმართველობაში“ მხოლოდ 1995 წელს გამოცემული ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის მითითებული. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ ხსენებულ სასწავლო კურსი ისწავლება ქართველი პოლიტიკოსის მიერ, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის წევრია. ამ კურსის მთავარი ამოცანა არის ის, რომ სტუდენტს შესძინოს მეტი ცოდნა საქართველოში ადგილობრივი პოლიტიკის წარმოების შესახებ. გარდა 1995 წელს გამოცემული ინგლისურენოვანი ლიტერატურისა, დამატებით ლიტერატურაში მითითებულია სხვა დამხმარე წყაროებიც, რომლებიც სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს სწავლების პროცესში.

ციური დურულმა აღნიშნა, რომ „პოლიტიკის თანამედროვე თეორიის“ სასწავლო კურსი არის კომპლექსური საგანი იმიტომ, რომ ის მიიღებულია კვლევის მეთოდებზე, ხოლო პროგრამაში „კვლევის მეთოდოლოგია“ არ არის, მაშინ როდესაც რამდენიმე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში წერია, რომ სტუდენტი აწარმოებს დამოუკიდებელ კვლევას ან ატარებს თვისობრივ კვლევას. გარდა ამისა, „პოლიტიკის თანამედროვე თეორიის“ სასწავლო კურსი დაშვების წინაპირობის გარეშე არის წარმოდგენილი. მას აინტერესებდა, რა ცოდნის საფუძველზე შეძლებს სტუდენტი კვლევის ჩატარებას. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ კვლევა ისწავლება

პირველივე სემესტრში „მონაცემთა ანალიტიკის კურსის ფარგლებში“. სტუდენტი სამივე კონცენტრაციაში, რომელიც არ უნდა აირჩიოს, შესაბამის კვლევის მეთოდს სწავლობს, რომელიც თავისი კონცენტრაციის მიმართულებით დასჭირდება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, „არჩევნები და კამპანიების“ სასწავლო კურსის ფარგლებში არის ოპოზიციის კვლევა, სადაც სტუდენტი კონკრეტულად იმ ტიპის კვლევას სწავლობს, რომელიც ამ მიმართულებით დასჭირდება. გარდა ამისა, კომუნიკაციის კონცენტრაციაში არის აუდიტორიის კვლევა, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს კვლევით უნარებს. ასევე „ციფრულ პოლიტიკაში“ გამოიყენება პროექტის კომპონენტი, სადაც სტუდენტი კიდევ უფრო სიღრმისეულად გადის კვლევას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნის 1.1 ქვესტანდარტში მოცემული იყო შემდეგი: „როგორც ასეთი, ეს მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და პრინციპში მიღწევადია მაგისტრატურის დონეზე.“ მას აინტერესებდა, რატომ გაჩნდა ამ ჩანაწერის აუცილებლობა დასკვნაში. ექსპერტმა ზაზა ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ამ საკითხთან დაკავშირებით უკმარისობა ჰქონდათ და ამიტომ აისახა ასეთი ჩანაწერი დასკვნაში.

ქეთევან ქუთათელაძის თქმით, წარმოდგენილ დოკუმენტებში, კერძოდ, პროგრამის სტრუქტურაში იკითხება სპეციალიზაციები. მას აინტერესებდა, რომელი ნორმატიული დოკუმენტით იხელმძღვანელა უნივერსიტეტმა სპეციალიზაციების გამოყოფისთვის.

ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ სანამ პროგრამის სტრუქტურის შედგენა მოხდებოდა, მანამდე მოხდა სხვადასხვა უსდ-ს პროგრამების შესწავლა. შესაბამისად, ამ ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამ სპეციალიზაციად (კონცენტრაციად) დაყოფა იქნებოდა ყველაზე ინოვაციური.

ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართ ექსპერტებს. მისი თქმით, 1.2 ქვესტანდარტში მოცემული იყო შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ კურსში სწავლის შედეგები უფრო მე-7 დონისთვის არის შესაფერისი, მთლიანობაში ეს აკმაყოფილებს მინიმალურ კრიტერიუმებს.“ მას აინტერესებდა, რატომ გაჩნდა ამ ჩანაწერის აუცილებლობა დასკვნაში.

ექსპერტმა ზაზა ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ამ საკითხთან დაკავშირებით უკმარისობა ჰქონდათ და ამიტომ აისახა ასეთი ჩანაწერი დასკვნაში.

ქეთევან ქუთათელაძემ განაცხადა, რომ თუ ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებს უკმარისობა ჰქონდათ, მაშინ გაუგებარია რატომ შეფასდა ეს სტანდარტი სრულად შესაბამისობაში.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, არის თუ არა პროგრამის სათაური პროგრამის მიზანთან შესაბამისი. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გამოგზავნილი აქვს რუკები, სადაც დეტალურად არის მოცემული რომელი შედეგი რომელ მიზანთან არის თანხვედრაში. პროგრამის სამივე მიზანი შეესაბამება პროგრამის სათაურს. სასწავლო კურსი „ელექტორალური სისტემები და პოლიტიკური კამპანიები“ პირდაპირ უკავშირდება პროგრამის პირველ სწავლის შედეგს. მეორე და მესამე სწავლის შედეგი უკავშირდება „პოლიტიკის მეცნიერებას“, ხოლო მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგი „პოლიტიკის მენეჯმენტს“. დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ თუ ყველა სწავლის შედეგი შესაბამისობაშია „პოლიტიკის მენეჯმენტთან“, მაშინ მისანიჭებელი კვალიფიკაცია რატომ არ არის განსაზღვრული მენეჯმენტის სფეროში. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა პოლიტიკის მენეჯმენტის კომპონენტებს შეიცავს, ის მაინც პოლიტიკის მეცნიერებას წარმოადგენს. ექსპერტმა ზაზა ცოტნიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა არის სიახლე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის იმიტომ, რომ ორიენტირებულია დასავლური ტიპის მენეჯმენტზე, თუმცა ეს არ უნდა იყოს რა თქმა უნდა, ქართული პოლიტიკური კულტურისაგან დისტანცირებული.

დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, კონცენტრაციების ნაწილში თითოეულ კონცენტრაციაზე პროგრამის საერთო მოცულობის რამდენი კრედიტი იყო გათვალისწინებული.

ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ კონცენტრაციების ნაწილში თითოეულ კონცენტრაციაზე 30 კრედიტი იყო გათვალისწინებული. დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს. მან სთხოვა დაწესებულებას განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ კონცენტრაციების სწავლის შედეგები ასახულია რუკებში. ექსპერტმა ილია ბოცვაძემ განაცხადა, რომ ეს საკითხი მსჯელობის საგანი იყო საერთაშორისო ექსპერტთანაც. დარგის ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ამით არ იქმნებოდა პრობლემა, რადგან საგნები ისე იყო გამიჯნული, რომ სწავლის შედეგებზე გადიოდნენ. ლევან გურგენიძის თქმით, უნივერსიტეტი მაქსიმალურად შეეცადა, რომ გამოყოფილ კონცენტრაციებს არ ჰქონოდა წყვეტა სწავლის მიზნებთან და შედეგებთან. შესაბამისად, სტუდენტს ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში არ ექმნება სწავლის შედეგზე გასვლის საფრთხე.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. მისი თქმით, დარგობრივი (პოლიტიკის მეცნიერებები) დოქტორის ხარისხის მქონე პირი პროგრამაში არის მხოლოდ ორი. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტურია სამაგისტრო საფეხურზე დარგობრივი დოქტორის ხარისხის მქონე მხოლოდ ორი ადამიანის არსებობა.

ზაზა ცოტნიაშვილის თქმით, ამ მხრივ ნამდვილად არსებობდა ექსპერტებისთვის უკმარისობა. დაწესებულება თვლიდა, რომ მათ ჰყავდათ პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანები და ასეც იყო, თუმცა „Phd“ ხარისხის აკადემიური პერსონალის ნაკლებობიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია და რჩევა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „სტატისტიკა, მონაცემები და ანალიტიკა პოლიტიკის მეცნიერებებში“ მოცემული იყო შემდეგი: „სტუდენტებს შეუძლიათ შეიმუშაონ ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმები“. მისი თქმით, სწავლის შედეგების უნარების ნაწილში არ ჩანს, რომ სტუდენტები იმუშავებენ ყოვლისმომცველ სტრატეგიულ გეგმებს, ასევე ეს საკითხი არ ჩანს შესასწავლი საკითხების ჩამონათვალში და შეფასების ნაწილში. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ ამ კურსის ფარგლებში სტუდენტი იწყებს იმის შესწავლას თუ როგორ უნდა განახორციელოს და დაგეგმოს ყოვლისმომცველი პოლიტიკური კამპანია. კამპანია ხორციელდება იმის შედეგად, რაც კვლევის შემდეგ იქნება მიღებული. შესაბამისად, სტუდენტს მაქსიმალურად კარგად უნდა ესმოდეს როგორ განახორციელოს კვლევა პოლიტიკური კამპანიისთვის. სტუდენტისათვის მიცემული დავალებები აუცილებელია იმისათვის, რომ მან იცოდეს როგორ ხორციელდება კვლევა და კვლევის შედეგების გარდაქმნა. შესაბამისად, ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმები არის ამ კვლევის ნაწილი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნულ კურსთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რომელ პროგრამას იყენებდა დაწესებულება მონაცემთა ანალიზისთვის.

ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება იყენებს „RC“ პროგრამას, თუმცა „სტატისტიკა, მონაცემები და ანალიტიკა პოლიტიკის მეცნიერებების“ სილაბუსში არ არის მითითებული.

ქეთევან ნანობაშვილის თქმით, „ციფრული მასალის შექმნის“ სილაბუსის მეოთხე და მეხუთე შედეგის მიხედვით სტუდენტი ქმნის ელექტრონულ მასალას, თუმცა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით არსად ჩანს მომზადებული მასალის შეფასება ტექნიკური თვალსაზრისით. მხოლოდ შინაარსზე არის აქცენტი გაკეთებული. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია არა დიზაინერული უნარი, არამედ ე.წ. ღირებული „Content“-ი.

საბჭოს წევრმა, დავით გეგეჭკორმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის მიზანში წერია, რომ სტუდენტს უვითარებს ლიდერობისა და ხელმძღვანელობის უნარებს. მას აინტერესებდა, რომელი სასწავლო კურსების სილაბუსები უვითარებდნენ სტუდენტებს ლიდერობისა და ხელმძღვანელობის უნარებს.

ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ ასეთი სასწავლო კურსებია „ამომრჩეველთა ტარგეტირების სტრატეგიები“, „პოლიტიკური კამპანიის სტრატეგია“, „ოპოზიციის კვლევა“, „მონაცემები სტრატეგიული კომუნიკაციისთვის“ და „სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია“.

დავით გეგეჭკორმა განაცხადა, რომ რამდენიმე სილაბუსში იყო „Chatgpt“-ის შესახებ აკრძალვა მოცემული. მას აინტერესებდა, როგორ ხდებოდა მისი შემოწმება და პლაგიატთან დაკავშირებით რა რეგულაციები არსებობს უნივერსიტეტში. ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც ექსპერტები იმყოფებოდნენ დაწესებულებაში, „Chatgpt“-ის შესახებ აკრძალვა სილაბუსებში არ იყო მოცემული. უნივერსიტეტი პლაგიატის წინააღმდეგ იყენებს „StrikePlagiarism“-ის პლატფორმას, რომელშიც ინტეგრირებულია ხელოვნური ინტელექტის საწინააღმდეგო ფუნქცია.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში მოცემული ბოლო სამი სწავლის შედეგის მიღწევადობა შეიძლება გამოიკვეთოს მხოლოდ გარკვეული წლების შემდეგ. სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმში მითითებულია რამდენიმე სასწავლო კურსი პროექტების გარეშე. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორად სილაბუსებში მოცემულია პროექტი, თუმცა დაწესებულება გაითვალისწინებს აღნიშნულ რჩევას და კიდევ ერთხელ გადახედავს სასწავლო კურსებს.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, რამდენიმე საერთაშორისო პერსონალი, რომელიც დაწესებულებას ჰყავს მოწვეული, ბაკალავრის ხარისხის მქონეა. მას აინტერესებდა, როგორ შეიძლება უხელმძღვანელოს ბაკალავრის მქონე პერსონალმა სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე პროექტს პროექტს, როდესაც მას გავლილი არ აქვს სამაგისტრო საფეხური. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში მხოლოდ ბაკალავრის მქონე ადამიანები არ იქნებიან ხელმძღვანელები. მათ ეყოლებათ ისეთი თანახელმძღვანელები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი აკადემიური ხარისხი.

სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ბევრი სასწავლო კურსი კონკრეტულ სწავლის შედეგზე გადის სამივე დონით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). მას აინტერესებდა, ერთი სასწავლო კურსი ერთ სწავლის შედეგზე სამივე დონით როგორ გადიოდა.

ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ მსგავსი შეკითხვა ექსპერტებმა ვიზიტის დროსაც დასვეს. მისი თქმით, ეს არის სამაგისტრო დონე, სადაც დაწესებულება ვალდებულია დაიცვას სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. უნივერსიტეტი ცდილობს, რომ პირველი სემესტრის ფარგლებში სტუდენტებს შესთავაზოს ისეთი საგნები, რომლებიც გაიყვანს სამივე დონით სწავლის შედეგზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:56

დასრულების დრო: 21:29

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-8 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვა შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, პროგრამის გარკვეული შედეგ(ებ)ის მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) სათანადო დონის მიღწევის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლო კურსი მხოლოდ ერთ სწავლის შედეგს მიემართება;
2. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს კვლევის მეთოდები;
4. რეკომენდებულია ახალი კურსის/კურსების გათვალისწინება ქართული კონტექსტის ცოდნის გაძლიერებისა და გაღრმავების, ასევე სტუდენტების მიერ ქართული პოლიტიკის ისტორიული/კულტურული კონტექსტისა და თავისებურებების უკეთ გაგების მიზნით;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსების ლიტერატურა;
6. პროგრამის მდგრადობისთვის, რეკომენდებულია პროგრამის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური (მათ შორის აფილირებული) პერსონალით უზრუნველყოფა;
7. პროგრამის განხორციელებისათვის რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისათვის წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები იმ შემთხვევებისთვის, თუ ვერ მიიღწევა სამიზნე ნიშნულები;
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების უშუალო ჩართვა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში;
10. ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს უფრო პროაქტიური მიდგომა შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორების გონივრული შერჩევისათვის და გაზარდოს პროფესორთა კადრი მოწვეულ ლექტორებთან მიმართებაში;
11. პროგრამის განხორციელებისა და შემდგომი განვითარებისთვის მიზანშეწონილია, რომ მაგისტრატურის სტუდენტებისა და მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისათვის წარმოდგენილნი იყვნენ სამეცნიერო კვლევებში ფართო გამოცდილების მქონე ცნობილი პროფესორები;

12. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების მეტი ფორმალიზება, რაც გულისხმობს აქტივობების ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას, სადაც ხაზგასმული იქნება პროგრამის ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირების ანალიზის დოკუმენტაცია, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე პასუხები.

რჩევები:

1. სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მომავალშიც იღებდეს მხარდაჭერას და მეტი სიხშირით უტარდებოდეთ ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად;
2. სტუდენტთა საკონსულტაციო და დამხმარე სერვისების თვალსაზრისით სასურველია შემდეგი: სხვადასხვა ქვეყანაში გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის გაზრდა;
3. სასურველია, უნივერსიტეტმა აამაღლოს ცნობიერება სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ;
4. პროგრამის მომავლისთვის სასურველია, რომ მასში მეტი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევებში დიდი გამოცდილების მქონე პროფესორები;
5. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის სასურველია, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მეტი მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების ეფექტურ ფუნქციონირებას.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების დემოგრაფიული პოლიტიკის და მიგრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, არაკლასიფიცირებული 0319.1.1, სოციალური მეცნიერებები;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

სტატუსი: ახალი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ლაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეთხე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტთა პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი თინათინ ქაროსანიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების დემოგრაფიული პოლიტიკის და მიგრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი ფორმულირებით არის მოცემული: „რეკომენდებულია, რომ პროგრამამ შეიმუშაოს თანმიმდევრული დოკუმენტი, რომელიც განმარტავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, მათ შორის: პირდაპირი შეფასების მეთოდებს სათანადო ინსტრუმენტებით, სასურველ სამიზნე ნიშნულებს, განსაზღვრავს ნიშნულიდან გადახრის შესაძლო ზღვრებს, ხოლო სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში – რეაგირების მექანიზმებს; საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაოს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები მკაფიო და თანმიმდევრული მექანიზმით. გარდა ამისა, ამ კომპონენტისთვის რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მეტი მხარდაჭერა და ჩაუტარდეს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად“. მეორე რეკომენდაცია ეხება ლიტერატურის განახლებას შემდეგ კურსებში: „მსოფლიო მოსახლეობის გეოგრაფია“, „დარგობრივი ინგლისური ენა“, „მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია“ და „სამაგისტრო კვლევის აგებულება“. ასევე უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერებას დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში უფრო მეტი ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებით. გარდა ამისა, სასურველია უფრო შესაბამისი, მრავალფეროვანი ძირითადი ლიტერატურის შეტანა კონკრეტულ კურსებში. თინათინ ქაროსანიძის თქმით, სტუდენტებთან და ინგლისური ენის ლექტორთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ის სასწავლო კურსები, რომლებიც პროფესიულ ენას უკავშირდებოდა, სტუდენტებისთვის რთულად დასაძლევია იყო. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ბევრი მემორანდუმი აქვს გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სტუდენტები მხოლოდ სტატისტიკის სამსახურში გადიოდნენ პრაქტიკას. თუ უნივერსიტეტი უფრო მეტს შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში პრაქტიკის გასავლელად, მაშინ უფრო მეტ უნარს და კვალიფიკაციას მიაწიებს კურსდამთავრებულს. ბოლო რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით არის ფორმულირებული: „რეკომენდებულია, რომ ლექტორებმა სემესტრულად, კურსის დასასრულს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან მიიღონ მათი შეფასება და უკუკავშირი, მათ შორის დადებითი და უარყოფითი შეფასება და კომენტარები, რათა გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი და მუდმივად აკონტროლონ კურსის სწავლების ხარისხი.“ თინათინ ქაროსანიძემ განაცხადა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს რამდენიმე პროფესორმა არ იცოდა ამ შეფასებების არსებობის შესახებ. შესაბამისად, ამიტომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია პროგრამის მიმართ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრე ბები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ქიმერიძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ პროგრამა ორიგინალურია და განსხვავდება სრულიად წინა პროგრამისაგან, რომელიც მისი მსგავსი იყო. პროგრამა უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის, რომ აღზარდოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან არა მხოლოდ ძლიერი დემოგრაფები, არამედ მათ შეეძლებათ პრაქტიკულად დაუახლოონ მიღებული ცოდნა ეროვნულ უსაფრთხოებას. მან აღნიშნა, რომ სანამ პროგრამა შეიქმნებოდა, მანამდე დაწესებულებას კონსულტაციები ჰქონდა არა მარტო ამ სფეროს, არამედ მომიჯნავე დარგის წამყვან სპეციალისტებთან გავლილი. უნივერსიტეტისთვის ყველა რჩევა და რეკომენდაცია მისაღებია. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ძალიან ბევრი ლიტერატურა ნათარგმნი თანამედროვე უცხოელი ავტორების. მისი თქმით, სამივე სილაბუსი შეიცვალა და დაემატა ახალი ლიტერატურა. პრაქტიკასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს „საქსტატთან“ აქვს დადებული მემორანდუმი, სადაც სტუდენტები გადიან 5 კრედიტიან პრაქტიკას. „საქსტატი“ არ არის მხოლოდ სტატიკის შემკრები დაწესებულება, ეს არის დაწესებულება, რომელიც თავს უყრის ისეთ მონაცემებს, როგორიცაა „პოლიტიკის შედეგა“, „მიგრაციული პროცესები“ და ა.შ. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ორი მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაციასთან, კერძოდ, „დემოგრაფთა ასოციაციასთან“ და „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდთან“. გარდა ამისა, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან, რომელსაც მიყავს სოციალური და პოლიტიკის საკითხები. ერთი კვირის წინ უნივერსიტეტის რექტორმა და ჯანდაცვის მინისტრმა დაწესებულებაში ხელი მოაწერეს მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ. ეს მიზნად ისახავს აღმასრულებელი ორგანოს აქტიურ დახმარებას პრაქტიკის მიმართულებით. ამრიგად, ყოველივე ამის ფონზე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება პრაქტიკასთან დაკავშირებით მიუღებელია. ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ შეფასების მექანიზმი შემუშავებულია. ეს არის საერთო დოკუმენტი, რომელიც კონკრეტული პროგრამისთვის არ მუშავდება. ამ დოკუმენტის მიხედვით, რაც არის გაიდლაინები გაწერილი, შემდგომ პროგრამის კომიტეტი იღებს საერთო სარეკომენდაციო ჩარჩოს და ცალკეულ პროგრამაზე იწყებს მუშაობას. პროგრამას მისი სიახელიდან გამომდინარე არ აქვს სწავლის შედეგების შეფასება გაკეთებული, ამ ეტაპზე არსებობს მხოლოდ რუკები. ამ უკანასკნელში ზოგადად არის ჩამოყალიბებული ცალკეული ველი. თუ პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას, მაშინ დაწესებულებას მოუწევს ყოველ სემესტრულად სწავლის შედეგების შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიური პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უცხოური ფონდების დახმარებით მზადდება პროექტი, რომლის ფარგლებში ხდება პერსონალის გადამზადება. ასევე აქ შედის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებიც. ეს ტრადიცია დაწესებულებაში არსებობდა პანდემიის პერიოდშიც. არ არის გამორიცხული, რომ ინტერვიუს პერიოდში ყოფილიყო ისეთი პროფესორი, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაცემა. ექსპერტმა, თინათინ ქაროსანიძემ უპასუხა, რომ ეს გამოიწვია ინტერვიუებმა და იმ სილაბუსმა, რომელშიც გაწერილი იყო, რომ სტუდენტს მხოლოდ „საქსტატში“ შეეძლო პრაქტიკის გავლა. რა თქმა უნდა, აღნიშნული რეკომენდაცია არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულებაში პრაქტიკის მიმართულებით რაიმე ხარვეზი არსებობს. ეს რეკომენდაცია ემსახურება იმას, რომ დაწესებულებამ სტუდენტს მისცეს იმის საშუალება, რომ სხვადასხვა ორგანიზაციაში გაიაროს პრაქტიკა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამ განაპირობა ის, რომ პრაქტიკას წინაპირობები არ ჰქონდა განსაზღვრული. პროგრამის ხელმძღვანელმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკა ისწავლება მესამე კურსზე, რომელსაც არ გააჩნია წინაპირობა, თუმცა აუცილებლად გაითვალისწინებს ამ რჩევას და უნივერსიტეტი პრაქტიკას განუსაზღვრავს წინაპირობებს. საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს მიღების წინაპირობაში ინგლისური ენის ცოდნის B1 დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელთა მიმართებითაც ექსპერტებს რჩევა ჰქონდათ გაცემული. მას აინტერესებდა, რატომ იყო ეს რჩევის და არა რეკომენდაციის სახით გაცემული. ექსპერტმა, თინათინ ქაროსანიძემ უპასუხა, რომ ის იყო ინიციატორი იმისა, რომ ეს რჩევა ყოფილიყო რეკომენდაცია, თუმცა კომისიის წევრებს შორის არ იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანობა პროგრამის სწავლის ენიდან გამომდინარე. თინათინ ქაროსანიძის თქმით, იმისათვის, რომ მაგისტრანტმა ჩაატაროს კარგი კვლევა, მას უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის B2 ცოდნის დონე.

დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით გაცემული რჩევა რატომ არ ატარებდა რეკომენდაციის ხასიათს. ექსპერტმა განაცხადა, რომ ლიტერატურის განახლებაზე მუშაობა არის მუდმივი პროცესი. დაწესებულებამ მოიძია ყველა საჭირო თანამედროვე ლიტერატურა. თსუ-ს ყველა ფაკულტეტს ბიუჯეტში განსაზღვრული აქვს თანხა ლიტერატურის შეძენისთვის. დაწესებულებამ გააკეთა ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადი და უახლოეს მომავალში ელის განახლებული ლიტერატურის მიღებას. თინათინ ქაროსანიძის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა იყო ქართულენოვანი, ექსპერტებმა

ჩათვალეს ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით გაეცათ არა რეკომენდაცია, არამედ რჩევა. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამის ქართულ ვერსიაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „სოციალური მეცნიერებების მაგისტრი“ მაშინ, როდესაც პროგრამის ინგლისურ თარგმანში „მეცნიერების მაგისტრი სოციალურ მეცნიერებებშია“. მას აინტერესებდა, რა კვალიფიკაციას ანიჭებდა უნივერსიტეტი სტუდენტს აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ. ნინო ქიმერიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ ანიჭებდა „სოციალური მეცნიერებების მაგისტრს“.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომის შემდეგ იწერება დასკვნა, რომელიც პოსტულირებული ხასიათისაა. ამ დარგის სამაგისტრო ნაშრომების დასკვნითი ნაწილი მოცულობითია, რომელიც შეიცავს მხოლოდ მიმოხილვის ნაწილსა და სტატისტიკური მონაცემების კონსტატაციას. მაგალითად, სიკვდილიანობა შემცირდა, განქორწინებულთა რაოდენობა იგივე დარჩა და ა.შ. ამ ნაშრომებში რომ ყოფილიყო ახსნა თუ რატომ შემცირდა, კარგი იქნებოდა.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაწესებულებას მიმართა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინა. ასვე მას აინტერესებდა, რატომ თქვა უნივერსიტეტმა B2 დონის ინგლისურის ენის დამატებაზე უარი პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებულ შენიშვნას უნივერსიტეტი იზიარებს და მომავალში აუცილებლად გამოასწორებს. პროგრამაში B2 დონის ინგლისურის ენის დამატებასთან მიმართებით განაცხადა, რომ ეს დაკავშირებულია ფაკულტეტის სპეციფიკასთან. აღნიშნული პროგრამა ახალია და უნივერსიტეტს არ სურს სტუდენტს შეუქმნას რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება. წინა პროგრამაში იყო B1.1 ინგლისური ენა, ხოლო ახლა პროგრამით გათვალისწინებულია B1.2 დონე. დოქტორანტურის შემთხვევაში კი B2 ინგლისური ენის დონეა განსაზღვრული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:24

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების დემოგრაფიული პოლიტიკის და მიგრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადამდე 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების დემოგრაფიული პოლიტიკის და მიგრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პრაქტიკის კომპონენტს განესაზღვროს წინაპირობა;
2. რეკომენდებულია მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონე;
3. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით ნაწილში უფრო მეტად გამოიკვეთოს ნაშრომის კვლევითი ხასიათი;
4. რეკომენდებულია, რომ პროგრამამ შეიმუშაოს სათანადო და თანმიმდევრული დოკუმენტი, რომელიც განმარტავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, მათ შორის: პირდაპირი შეფასების მეთოდებს სათანადო ინსტრუმენტებით, სასურველ სამიზნე ნიშნულებს, განსაზღვრავს ნიშნულიდან გადახრის შესაძლო ზღვრებს, ხოლო სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში – რეაგირების მექანიზმებს; საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაოს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები მკაფიო და თანმიმდევრული მექანიზმით;
5. რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მეტი მხარდაჭერა და ჩაუტარდეს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად;
6. რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება კურსებში: მსოფლიო მოსახლეობის გეოგრაფია, დარგობრივი ინგლისური ენა, მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია, სამაგისტრო კვლევის აგებულება;

7. რეკომენდებულია, უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება, დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში უფრო მეტი ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებით;
8. რეკომენდებულია, უფრო შესაბამისი, მრავალფეროვანი ძირითადი ლიტერატურის შეტანა კონკრეტულ კურსებში;
9. რეკომენდებულია „პრაქტიკის“ (ანუ მუშაობა –სწავლის) კომპონენტის გაძლიერება, სტუდენტებისთვის სტაჟირების შესაძლებლობის შეთავაზება რამდენიმე ორგანიზაციაში მეტი დარგობრივი მემორანდუმების გაფორმებით, რათა პარტნიორული ურთიერთობა დაამყარონ საქართველოში მოქმედ უფრო რელევანტურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კვლევით ცენტრებთან;
10. რეკომენდებულია, რომ ლექტორებმა სემესტრულად, კურსის დასასრულს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან მიიღონ მათი შეფასება და უკუკავშირი, მათ შორის დადებითი და უარყოფითი შეფასება და კომენტარები, რათა გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი და მუდმივად აკონტროლონ კურსის სწავლების ხარისხი. ადგილზე ვიზიტის დროს რამდენიმე პროფესორმა, როგორც ჩანს, არ იცოდა ამ შეფასებების არსებობის შესახებ.

რჩევები:

1. სასურველია, ინგლისური ენის ორი არჩევითი კურსის დონის მორგება სტუდენტების დონეზე, რადგან ეს კურსები ზედმეტად მაღალი დონის ჩანდა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც გაესაუბრა შეფასების ჯგუფი;
2. სასურველია, უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერება კვლევით ნაშრომებში უცხოენოვანი წყაროების გამოყენების მოთხოვნით;
3. სასურველია, მეთოდების დივერსიფიკაცია კურსის სპეციფიკის შესაბამისად;
4. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის რამდენიმე ძირითად კურსს ასწავლის ორი გამოცდილი მეცნიერი, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისთვის, სასურველია, მომავალი ახალგაზრდა მეცნიერების აზრდა და მომზადება, რათა მათ ამ კურსების სწავლება შეძლონ;
5. სასურველია, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მითითებული ქართულენოვანი მასალების განახლება.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სკოლამდელი განათლების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი განათლება

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სკოლამდელი განათლების ბაკალავრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0112 სკოლამდელი განათლებისმასწავლებლის მომზადება

სწავლებისენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ კი

აცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ - საფუძველი, შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედგინებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტი ქეთევან აფთარაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დადგენილ ვადაში წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში. მისი თქმით, დაწესებულებამ რეკომენდაციების უმრავლესობა შეასრულა. დასკვნაში საილუსტრაციოდ წარმოდგენილი იყო გარკვეული კურსები, რომელთა წინაპირობები საჭიროებდა გადახედვას, თუმცა ეს იყო მაგალითის სახით დასკვნაში მოცემული, რომელიც უნივერსიტეტმა გაითვალისწინა, თუმცა საჭირო გახდა გარკვეული კურსების დამატება კვლევის მიმართულებით. შესაბამისად, ამ მხრივ რეკომენდაცია რომ სრულად იყოს შესრულებული, საჭიროებს კიდევ ერთხელ დაწესებულების მხრიდან მათ გადახედვას. შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა მეტწილად შეასრულა რეკომენდაცია. დაწესებულებამ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს დასკვნაში მოცემულ რამდენიმე სილაბუსს რუბრიკების ნაწილში, რათა სრულად ჩაითვალოს რეკომენდაცია შესრულებულად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ვლადიმერ ღლონტი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა სრულად გაიზიარა. მისი თქმით, რეკომენდაციის მეტწილად შესრულება ნიშნავს რეკომენდაციის შესრულებას. ასეთი შეფასება განპირობებული იყო როგორც პროგრამის სიახლით, ისე იმით, რომ ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც საჭიროებს განვითარებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:47

დასრულების დრო: 22:48

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სკოლამდელი განათლების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის 2¹¹ პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს სხდომა დასრულდა დრო: 23:00 სთ - ზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

დ. ციციშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

გ. ყიფიძე

